



International Strategy for Disaster Reduction

# 2009

გაერთიანებული ერების  
ორგანიზაციის კატასტროფის  
შემცირების საერთაშორისო  
სტრატეგიის სააგენტოს

**კატასტროფის  
რისკის შემცირების  
ტერმინოლოგია**



გაერთიანებული ერების  
ორგანიზაცია

გამოცემულია გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) ფინანსური მხარდაჭერით.

გამოქვეყნებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კატასტროფის რისკის შემცირების საერთაშორისო სტრატეგიის სააგენტოს (UNISDR) მიერ. ჟენევა, შვეიცარია, 2009 წლის მაისი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, 2009.  
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კატასტროფის რისკის შემცირების საერთაშორისო სტრატეგიის სააგენტო (UNISDR), 2009.  
ყველა უფლება დაცულია.

ნებადართულია წინამდებარე პუბლიკაციიდან ციტატების მოყვანა ან მისი ხელახლა დაბეჭდვა, ოღონდ აუცილებელია წყაროს მითითება. UNISDR მიესალმება პუბლიკაციის ხელახალ გამოცემას და თარგმნას. დოკუმენტის გამოქვეყნების ან გადათარგმნის შემთხვევაში ერთი ასლი უნდა გადაეგზავნოს UNISDR-ს.

ტერმინოლოგია ინგლისურ ენაზე, ასევე თარგმანი არაბულ, ჩინურ, ფრანგულ, რუსულ და ესპანურ ენებზე ხელმისაწვდომია UNISDR-ის ვებგვერდზე, შემდეგ მისამართზე:

[www.unisdr.org/publications](http://www.unisdr.org/publications)  
[PreventionWeb-ზე](http://PreventionWeb.net)  
[www.preventionweb.net](http://www.preventionweb.net)

# 2009

გაერთიანებული ერების  
ორგანიზაციის პატასტროფის  
შემცირების საერთაშორისო  
სტრატეგიის სააგენტოს

**პატასტროფის  
რისკის შემცირების  
ტერმინოლოგია**

კატასტროფის რისკის შემცირების საერთაშორისო სტრატეგიის  
სააგენტოს ტერმინოლოგიის ქართული თარგმანის მეორე,  
გაუმჯობესებული გამოცემის მომზადებაში მონაწილეობა  
მიიღეს საქართველოში კატასტროფის რისკის შემცირების  
სისტემაში მომუშავე მეცნიერებმა, პრაქტიკოსებმა,  
არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების  
წარმომადგენლებმა.



გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კატასტროფის რისკის შემცირების საერთაშორისო სტრატეგიის სააგენტოს (UNISDR) ტერმინოლოგიის შექმნისა და გამოცემის მიზანია ერთნაირად იქნეს გაგებული და დანერგილი კატასტროფის რისკის შემცირებასთან დაკავშირებული ცნებები, რაც ხელს შეუწყობს მათ ერთგვაროვან გამოყენებას და დაეხმარება კატასტროფის რისკის შემცირების მიმართულებით უფლებამოსილი პირების, სპეციალისტებისა და საზოგადოების ძალისხმევას.

წინა გამოცემა „ტერმინოლოგია: ძირითადი ტერმინები კატასტროფის რისკის შემცირების შესახებ“ გამოქვეყნდა 2004 წელს „ცხოვრება რისკით: კატასტროფის რისკის შემცირების ინიციატივების გლობალური მიმოხილვის“ ფარგლებში. მომდევნო წელს 2003-2015 წწ.-ის „ჰიოგოს სამოქმედო ჩარჩოპროგრამამ“ მოითხოვა UNISDR-ისგან, რომ მომხდარიყო „კატასტროფის რისკის შემცირებასთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტული ტერმინოლოგიის განახლება და ფართოდ გავრცელება, სულ მცირე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა ოფიციალურ ენაზე, პროგრამული და ინსტიტუციონალური განვითარების, ოპერაციების, კვლევების, სასწავლო გეგმებისა და საზოგადოების ინფორმირების პროგრამებში გამოყენების მიზნით“.

2009 წლის ვერსია UNISDR-ისგან მომდინარე განხილვის პროცესისა და სხვადასხვა საერთაშორისო შეხვედრებზე, რეგიონულ დისკუსიებსა და ეროვნულ გარემოში ექსპერტებსა და პრაქტიკოსებს შორის გამართული კონსულტაციების შედეგია. ტერმინები თითო წინადადებითაა გადმოცემული, ყოველ ტერმინს ახლავს კომენტარი, რომელიც არ წარმოადგენს განსაზღვრების ნაწილს, მაგრამ იძლევა დამატებით ახსნა-განმარტებასა და კვალიფიკაციას. აღსანიშნავია, რომ ტერმინები ყოველთვის არ არის ერთმანეთისაგან გამიჯნული და შესაძლოა ზოგჯერ ერთმანეთიც კი გადაფაროს.

ტერმინოლოგია გადაისინჭა. მასში შესულია ის არსებითი სიტყვები, რაც აუცილებელია თანამედროვე გაგებისა და კატასტროფის რისკის შემცირების პრაქტიკის ხელშეწყობისათვის. ამოღებულია სიტყვები, რომელთაც ლექსიკონში ერთი და იგივე მნიშვნელობა აქვს.

გამოცემაში მოგვავს ახლადშემოღებული ცნებები, რომლებიც ფართოდ ჰარ არ გამოიყენება, მაგრამ ნელ-ნელა მკვიდრდება პროფესიონალურ გარემოში. ამგვარი ტერმინები ვარსკვლავითაა აღნიშნული. მათი განმარტებები მომავალში შეიძლება შეიცვალოს და დაიხვეწოს. 2009 წლის ინგლისურენოვანი ვერსია იძლევა შესაძლებლობას, რომ ტერმინოლოგიური ცნობარი სხვა ენებზეც მომზადდეს. ჩვენ მივესალმებით ყველა კომენტარსა და შემოთავაზებას, რომელსაც ტერმინოლოგიასთან დაკავშირებით გამოუგზავნიან UNISDR-ს ([www.unisdr.org](http://www.unisdr.org)).

# ტერმინები

ადაპტაცია (Adaptation) .....	04
ადრეული გაფრთხილების სისტემა (Early Warning System) .....	04
აღდგენა (Recovery) .....	05
ბიოლოგიური საფრთხე (Biological Hazard) .....	05
ბუნებრივი საფრთხე (Natural Hazard) .....	06
გამკლავების პოტენციალი (Coping Capacity) .....	06
გამძლეობა/მდგრადობა (Resilience) .....	06
გარემოზე ზემოქმედების შეფასება (Environmental Impact Assessment) .....	07
გარემოს დეგრადაცია (Environmental Degradation) .....	07
გეოლოგიური საფრთხე (Geological Hazard) .....	08
დარჩენილი რისკი (Residual Risk) .....	08
დასაშვები რისკი (Acceptable Risk) .....	09
ეკოსისტემის სარგებელი (Ecosystem Services) .....	09
El Niño –სამხრეთული რხევების ფენომენი .....	10
ექსტენსიური რისკი* (Extensive Risk) .....	10
ინტენსიური რისკი* (Intensive Risk) .....	11
კატასტროფა (Disaster) .....	11
კატასტროფის პოტენციური რისკის მართვა*	
(Prospective Disaster Risk Management) .....	12
კატასტროფის რისკი (Disaster Risk) .....	12
კატასტროფის რისკის მაკორექტირებელი მართვა*	
(Corrective Disaster Risk Management) .....	13
კატასტროფის რისკის მართვა (Disaster Risk Management) .....	13
კატასტროფის რისკის შემცირება (Disaster Risk Reduction) .....	13
კატასტროფის რისკის შემცირების გეგმა* (Disaster Risk Reduction Plan) ....	14
კატასტროფის რისკის შემცირების ეროვნული პლატფორმა	
(National Platform for Disaster Risk Reduction) .....	15
კლიმატის ცვლილება (Climate Change) .....	15

<b>ბდგრადი განვითარება (Sustainable Development) .....</b>	16
მზადება (Preparedness) .....	17
მიტიგაცია (შერბილება) (Mitigation).....	17
მიწათსარგებლობის დაგეგმვა (Land use Planning) .....	18
მონაცემების განვითარება (Vulnerability).....	18
<b>პრევენცია (Prevention) .....</b>	19
პროგნოზი (Forecast) .....	20
პოტენციალი (Capacity) .....	20
პოტენციალის განვითარება (Capacity Development).....	20
<b>რეაგირება (Response) .....</b>	21
რეკონსტრუქცია (Retrofitting) .....	21
რისკი (Risk) .....	22
რისკის მართვა (Risk Management).....	22
რისკის ტრანსფერი (Risk Transfer).....	23
რისკის შეფასება (Risk Assessment).....	24
<b>საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების დაგეგმვა (Contingency Planning) .....</b>	24
საგანგებო სიტუაციების მართვა (Emergency Management) .....	25
საგანგებო სიტუაციების სამსახურები (Emergency Services) .....	25
საზოგადოების გათვითცნობიერება (Public Awareness).....	26
სათბურის აირები (Greenhouse Gases) .....	26
სამშენებლო კოდექსი (ნორმები და წესები) (Building Codes).....	26
სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტები (Critical Facilities) .....	27
საფრთხე (Hazard).....	27
საფრთხის წინაშე დგომა (Exposure) .....	28
სოციალურ-ბუნებრივი ხასიათის საფრთხე* (Socio-natural Hazard) .....	28
სტრუქტურული და არასტრუქტურული ზომები (Structural and Non-structural Measures) .....	29
<b>ტექნოგენური საფრთხე (Technological Hazard).....</b>	30
<b>ჰიდრომეტეოროლოგიური საფრთხე (Hydrometeorological Hazard) .....</b>	30

## ადაპტაცია

ბუნებრივი ან ადამიანის მიერ შექმნილი სისტემების ფაქტობრივ ან მოსალოდნელ კლიმატურ ზემოქმედებასთან ან მათ შედეგებთან მისადაგება, რაც შესაძლო ზიანის შემცირების ან ხელსაყრელი შესაძლებლობების გამოყენების საშუალებას იძლევა.

**კომენტარი:** ეს განმარტება უკავშირდება კლიმატის ცვლილების პრობლემას და შემუშავებულია „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კლიმატის ცვლილების ჩარჩოვნენციის“ (UNFCCC) სამდივნოს მიერ. ადაპტირების უფრო ფართო ცნების გამოყენება შესაძლებელია ასევე ისეთი არაკლიმატური ფაქტორების მიმართაც, როგორიცაა ნიადაგის ეროვნია ან გრუნტის ჰდენა. ადაპტირება შესაძლებელია დამოუკიდებლად განხორციელდეს ცალკეულ სფეროში, მაგალითად, საბაზრო ცვლილებების ან სტრატეგიისა და გეგმების მიზანმიმართული ადაპტაციის შედაგად. ადაპტაციის პროცესის გაუმჯობესებას კატასტროფის რისკის შემცირების მრავალი ღონისძიება უწყობს ხელს.



## ადრეული გაფრთხილების სისტემა

შესაძლებლობების ერთობლიობა, რომელიც საჭიროა დროული და გასაგები (მნიშვნელოვანი) გამაფრთხილებელი ინფორმაციის ჩამოსაყალიბებლად და გასავრცელებლად, რათა საფრთხის წინაშე მყოფ ცალკეულ პირებს, თემებს და ორგანიზაციებს საშუალება მიეცეთ მოემზადონ და შესაბამისად და დროულად იმოქმედონ ზიანის ან დანაკარგის ალბათობის შესამცირებლად.

**კომენტარი:** ეს განსაზღვრება მოიცავს მთელ რიგ ფაქტორებს, რომლებიც საჭიროა გამაფრთხილებელ შეტყობინებებზე ეფექტური რეაგირების მისაღწევად. ადამიანებზე ორიენტირებული ადრეული გაფრთხილების სისტემა, როგორც წესი, შეიცავს ოთხ ძირითად ელემენტს: რისკების ისტორიას; მონიტორინგის, ანალიზისა და საფრთხეების პროგნოზირებას; განვაშის შეტყობინების და გაფრთხილების გავრცელებას ან კომუნიკაციას და მიღებულ გაფრთხილებებზე რეაგირების ადგილობრივ შესაძლებლობებს.

ტერმინი „გაფრთხილების გამჭოლი სისტემა“ ასევე ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ გაფრთხილების სისტემა უნდა მოიცავდეს ყველა საფეხურს საფრთხის გამოვლენიდან თემის/საზოგადოების რეაგირებამდე.

## აღდგენა

კატასტროფის შედეგად დაზარალებული საზოგადოებისთვის დამხმარე საშუალებების და ობიექტების, საარსებო საშუალებების და საცხოვრებელი პირობების აღდგენა და საჭიროებისამებრ გაუმჯობესება, რაც ასევე მოიცავს კატასტროფის რისკის ფაქტორების შესამცირებელ ძალისხმევას.

**კომენტარი:** რეაბილიტაციისა და რეკონსტრუქციის მიზნით ჩასატარებელი აღდგენის ფაზა საგანგებო ფაზის დამთავრებისთანავე იწყება და უნდა ეფუძნებოდეს წინასწარ განსაზღვრულ სტრატეგიებსა და პოლიტიკას, რომელიც მკაფიოდ განსაზღვრავს ინსტიტუციურ პასუხისმგებლობებს და უზრუნველყოფს საზოგადოების ჩართულობას. კატასტროფის შემდეგ გაზრდილი საზოგადოებრივი ცნობიერებისა და ჩართულობის პარალელურად აღდგენის მიმდინარე პროგრამები კატასტროფის რისკის შემცირების ზომების განვითარებისა და პრინციპის „აღვადგინოთ უკეთ, ვიდრე იყო ადრე“ განხორციელების მნიშვნელოვან შესაძლებლობას იძლევა.



## ბიოლოგიური საფრთხე

ორგანული წარმოშობის ან ბიოლოგიური გზებით განპირობებული პროცესი ან მოვლენა, რომელიც მოიცავს პათოგენური მიკროორგანიზმების, ტოქსინებისა და ბიოაქტიური ნივთიერებების იმგვარ ზემოქმედებას, რასაც შეუძლია გამოიწვიოს სიკვდილი, სხეულის დაზიანება, დაავადება ან კანმრთელობის გაუარესება, ქონებრივი ზარალი, საარსებო წყაროს დაკარგვა და მომსახურების სფეროს მოშლა, სოციალურ-ეკონომიკური სისტემების რღვევა და გარემოს დაზიანება.

**კომენტარი:** ბიოლოგიური საფრთხეები მოიცავს ინფექციური დაავადებების აფეთქებებს, რაც ქმნის ეპიდემიების საშიშროებას, ასევე მცენარეებისა და ცხოველების დაინფიცირებას, მწერებისა და ცხოველების ინფექციებისაგან გამოწვეულ ზიანს (ინვაზია).

## ბუნებრივი საფრთხეები

ბუნებრივი მოვლენა ან პროცესი, რასაც შეუძლია გამოიწვიოს სიკვდილი, სხეულის დაზიანება, დაავადება ან ჟანმრთელობის გაუარესება, ქონებრივი გარალი, საარსებო წყაროს დაკარგვა და მომსახურების სფეროს მოშლა, სოციალურ-ეკონომიკური სისტემების რღვევა და გარემოს დაზიანება.

**კომენტარი:** ბუნებრივი საფრთხეები არის ყველა საფრთხის ქვეკლასი. ეს ტერმინი გამოიყენება საფრთხის შემცველი ფაქტობრივი მოვლენების, ასევე ფარული საფრთხის მატარებელი გარემოებების გადმოსაცემად, რომლებიც მომავალში შეიძლება სახითათო მოვლენებში გადაიზარდოს. ბუნებრივი საფრთხის შემცველი მოვლენები შეიძლება დახასიათდეს მათი სიმძლავრით ან ინტენსივობით, განვითარების სისწრაფით, მოქმედების ხანგრძლივობით და გავრცელების მასშტაბით. მაგალითად, მიწისძვრა ხანმოკლეა და, როგორც წესი, მცირე ტერიტორიაზე ახდენს გავლენას, ხოლო გვალვების განვითარება და გაქრობა ნელი პროცესია, მაგრამ ხშირად ვრცელ ტერიტორიებზე მოქმედებს. ზოგიერთ შემთხვევაში საფრთხეები შეიძლება ერთმანეთთან იყოს დაკავშირებული, მაგალითად, როცა წყალდიდობას მიწისძვრით წარმოქმნილი ცუნამი ან ქარიშხალი იწვევს.

## გამკლავების პოტენციალი

ადამიანების, ორგანიზაციებისა და სისტემების უნარი, წინ აღუდვნენ და მართონ არასასურველი გარემოებები, საგანგებო სიტუაციები ან კატასტროფები არსებული უნარ-ჩვევებისა და რესურსების გამოყენებით.

**კომენტარი:** გამკლავების უნარი მოითხოვს უწყვეტ ინფორმირებულობას, რესურსებსა და გამართულ მმართველობას, როგორც ჩვეულებრივ პირობებში, ასევე კრიზისებისა და არახელსაყრელი პირობების წარმოშობისას. გამკლავების უნარების არსებობა ხელს უწყობს კატასტროფის რისკის შემცირებას.

## გამძლეობა/მდგრადობა

საფრთხის წინაშე მდგარი სისტემის, თემის ან საზოგადოების უნარი, საფრთხის შედეგებით მიყენებული

ზიანის შემდეგ დროულად და ეფექტურად შეძლოს შეწინააღმდეგოს, გადალახოს, გაუძლოს, მოერგოს და აღდგეს ისე, რომ თან შეინარჩუნოს და აღადგინოს სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტები და ფუნქციები.

**კომენტარი:** მდგრადობა ნიშნავს „შოკის დაძლევის“ ან „შოკიდან გამოსვლის“ უნარს. პოტენციური საფრთხის შემცველი ელემენტების მიმართ თემის მდგრადობა განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ რამდენად აქვს თემს აუცილებელი რესურსები და რამდენად შეუძლია მას საკუთარი თავის ორგანიზება, როგორც საჭიროების გაჩენამდე, ისე მის შემდეგ.



## გარემოზე ზემოქმედების შეფასება

დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესის განუყოფელი ნაწილი - ამათუ იმ პროექტის ან პროგრამის ეკოლოგიური შედეგების შეფასების პროცესი, რომელიც ამ პროექტის ან პროგრამის საზიანო ზეგავლენის შემცირებისა და შეზღუდვის მიზნით ტარდება.

**კომენტარი:** გარემოზე ზემოქმედების შეფასება არის პოლიტიკის გატარების ინსტრუმენტი, რომელიც კონცეფციის შემუშავებიდან გადაწყვეტილების მიღებამდე კონკრეტული საქმიანობების გარემოზე ზემოქმედების დამადასტურებელი მტკიცებულების მოპოვებისა და ანალიზის საშუალებას იძლევა. ასეთი შეფასებები ხშირად გამოიყენება ეროვნული პროგრამირებისა და პროექტების დამტკიცების პროცესში, ასევე განვითარების ხელშემწყობ საერთაშორისო პროექტებში. გარემოზე ზემოქმედების შეფასება უნდა მოიცავდეს რისკების დეტალურ შეფასებას და წარმოადგენდეს ალტერნატიულ მიდგომებსა და გამოვლენილი პრობლემების გადაჭრის გზებს.



## გარემოს დეგრადაცია

სოციალური და ეკოლოგიური ამოცანებისა და საჭიროებების მიხედვით გარემოს შესაძლებლობების შემცირება.

**კომენტარი:** გარემოს დეგრადაციამ შეიძლება შეცვალოს ბუნებრივი საფრთხეების ინტენსივობა და სიხშირე და გაზარდოს მოსახლეობის დაუცველობის ხარისხი. ადამიანის საქმიანობით გამოწვეული დეგრადაცია

შეიძლება იყოს სხვადასხვა სახის, სადაც შედის: მიწის რესურსების არარაციონალური გამოყენება, ნიადაგის დაკარგვა და ერობია, გაუდაბნოება, ხანძრები აუთვისებელ ტერიტორიებზე, ბიომრავალფეროვნების გაქრობა, ტყეების განადგურება, მანგროს ტყეების გაჩანაგება, ნიადაგის, წყლის და ჰაერის დაბინძურება, კლიმატის ცვლილება, ოკეანის დონის აწევა და ოზონის შრის განლევა.

## გეოლოგიური საფრთხე

გეოლოგიური პროცესი ან მოვლენა, რასაც შეუძლია გამოიწვიოს სიკვდილი, სხეულის დაზიანება, დაავადება ან ჟანმრთელობის გაუარესება, ქონებრივი ზარალი, საარსებო წყაროს დაკარგვა და მომსახურების სფეროს მოშლა, სოციალურ-ეკონომიკური სისტემების რღვევა და გარემოს დაზიანება.

**კომენტარი:** გეოლოგიური საფრთხეები მოიცავს დედამიწის სიღრმეში მიმდინარე ე.ნ. ენდოგენურ პროცესებს, მიწისძვრებს, ვულკანურ აქტიურობას და ამოფრქვევას, ასევე ამასთან დაკავშირებულ ეგზოგენურ გეოლოგიურ პროცესებს, როგორიცაა გრუნტის მასების გრავიტაციული გადაადგილება, მეწყერები, კლდის ჩამოშლა, ქვათაცვენა, ტექტონიკური რღვევები, ღვარცოფი. ზოგიერთი ამ პროცესის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ჰიდრომეტეოროლოგიურ ფაქტორებს. ცუნამის კატეგორიზება, მიუხედავად იმისა, რომ მას წყალქვეშა მიწისძვრა და სხვა გეოლოგიური მოვლენები იწვევს, საკმაოდ რთულია. ის მნიშვნელოვანი ოკეანური პროცესია და განსაზღვრულია, როგორც სანაპირო წყლებთან დაკავშირებული საფრთხე.

## დარჩენილი რისკი

რისკი, რომელიც არ ექვემდებარება მართვას მაშინაც კი, როცა კატასტროფის რისკის შემცირების ეფექტური ზომები უკვე მიღებულია და მისი შემდგომი გამკლავების მიზნით აუცილებელ ჰიდროგენურ რჩება საგანგებო რეაგირებისა და აღდგენისათვის საჭირო პოტენციალის შენარჩუნება.

**კომენტარი:** დარჩენილი რისკის არსებობა გულისხმობს ეფექტური პოტენციალის განვითარებისა და მხარდაჭერის

მუდმივ საჭიროებას საგანგებო სიტუაციების სამსახურების მშადების, რეაგირებისა და აღდგენის ღონისძიებათა უზრუნველყოფის მიზნით, ასევე ისეთი სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის გატარებას, როგორიცაა უსაფრთხოების ქსელისა და რისკის ტრანსფერის მექანიზმების დანერგვა.

## დასაშვები რისკი

პოტენციური დანაკარგის ზღვარი, რომელსაც საზოგადოება ან ადგილობრივი თემი დასაშვებად მიიჩნევს მოცემული სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული, ტექნიკური და ეკოლოგიური პირობების გათვალისწინებით.

**კომენტარი:** საინჟინრო ტერმინოლოგიაში ტერმინი „დასაშვები რისკი“ ასევე გამოიყენება ჩასატარებელი სტრუქტურული და არასტრუქტურული ღონისძიებების შესაფასებლად და განსასაზღვრად. ეს შეფასება საჭიროა მოსახლეობის, მისი საკუთრების, მომსახურების და სხვა სისტემებისათვის მიყენებული შესაძლო ზიანის დასაშვებ ზღვრამდე შესამცირებლად, იმ სტანდარტებისა და მიღებული პრაქტიკის შესაბამისად, რომლებიც ეფუძნება საფრთხის ალბათობის შესახებ ცოდნას და სხვა ფაქტორებს.

## ეკოსისტემის სარგებელი

სარგებელი, რომელსაც ეკოსისტემიდან იღებენ ადამიანები და საზოგადოება.

**კომენტარი:** ეს განმარტება მოდის „ათასწლეულის ეკოსისტემის შეფასებიდან“. ეკოსისტემებიდან მიღებული სარგებელი მოიცავს „რეგულირების მომსახურებას“, ანუ წყალდიდობების, გვალვის, ნიადაგის დეგრადაციისა და დაავადებათა რეგულირებას; „მომარაგების მომსახურებას“, ანუ საკვები პროდუქტებითა და წყლით მომარაგებას; „მხარდაჭერის მომსახურებას“, რომელიც ნიადაგფორმირებასა და მკვებავი ნივთიერებების ცირკულირებას ეხება და „კულტურის მომსახურებას“, ანუ რეკრეაციულ, სულიერ, რელიგიურ და სხვა არამატერიალურ სარგებელს; მიზის, წყლის და სასიცოცხლო რესურსების ინტეგრირებულ მართვას, რომელიც ხელს უწყობს ამ რესურსების დაზოგვასა

და მდგრად გამოყენებას. ეს უკანსკნელი ეკოსისტემის შენარჩუნების საფუძველს წარმოადგენს ყველაფერთან ერთად, რასაც კატასტროფის რისკების შემცირებაში შეაქვს წვლილი.

## El Niño – სამხრეთული რხევების ფენომენი

წყნარი ოკეანის ტროპიკული ნაწილისა და დედამიწის ატმოსფეროს კომპლექსური ურთიერთქმედება, რომლის შედეგადაც მსოფლიოს ბევრ ადგილას იჩენს თავს საოკეანო და ამინდის პირობების არარეგულარული ცვლილებები, რაც ხმირად მრავალი თვის განმავლობაში ახდენს მნიშვნელოვან გავლენას და ზღვის საარსებო გარემოს (ზღვის ჰაბიტატის), ნალექის განაწილების, წყალდიდობების, გვალვის, ქარიშხლებისა და შტორმის სახეცვლილებაში აისახება.

**კომენტარი:** „ელ ნინიო“ არის „ელ ნინიო სამხრეთული რხევების ფენომენის (ENSO)“ ნაწილი, რომელიც ოკეანის საშუალოზე გაცილებით მაღალი ტემპერატურით გამორჩეულ ადგილებს ეხება, ვლინდება ეკვადორის, პერუს და ჩრდილოეთ ჩილეს სანაპიროს გასწვრივ, ასევე, წყნარი ოკეანის აღმოსავლეთ ეკვატორულ ნაწილში. რაც შეეხება გამოთქმას „ლა ნინია“, გულისხმობს საპირისპირო ვითარებას, ანუ როცა შეიმჩნევა ოკეანის საშუალოზე გაცილებით დაბალი ტემპერატურა. გამოთქმა „სამხრეთული რხევები“ აღნიშნავს ატმოსფერული წნევის გლობალური მახასიათებლების თანმხლებ ცვლილებებს, რაც, თავის მხრივ, მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში მიმდინარე ამინდის პირობების ცვლილებებთან არის დაკავშირებული.

## ექსტენსიური რისკი\*

თართოდ გავრცელებული რისკი, რომელიც უკავშირედება დამორჩიმონებული მოსახლეობის წინაშე არსებულ განმეორებად ან მუდმივ საფრთხეს, ხასიათდება დაბალი ან საშუალო ინტენსივობით. იგი ხმირად მკაცრად არის ლოკალიზებული, რამაც შეიძლება გამოიწვიოს კატასტროფის კუმულაციური (ჯამური) ზეგავლენის შესუსტება.

**კომენტარი:** ექსტენსიური რისკი ძირითადად ახასიათებს სასოფლო და ურაბნული ზონების მომიჯნავე ტერიტორიებს, რომლის მოსახლეობაც დაუცველია განმეორებადი, ლოკალიზებული წყალდიდობების, მეწყერების, ქარიშხლის ან გვალვებისაგან. ექსტენსიური რისკი ხშირად ასოცირდება სიღარიბესთან, ურბანიზაციასა და გარემოს დეგრადაციასთან.

ასევე იხ. ტერმინი „ინტენსიური რისკი“.



## ინტენსიური რისკი\*

რისკი, რომელიც დაკავშირებულია მოსახლეობისა და ეკონომიკური საქმიანობის დიდი კონცენტრაციის აღვილებში მნიშვნელოვანი საფრთხის შემცველი მოვლენების არსებობასთან, რამაც შესაძლებელია გამოიწვიოს გამანადგურებელი კატასტროფა, დიდი მსხვერპლითა და მატერიალური დანაკარგებით.

**კომენტარი:** ინტენსიური რისკის არსებობა ძირითადად დამახასიათებელია დიდი ქალაქებისა და მჭიდროდ დასახლებული ტერიტორიებისთვის, რომლებსაც გარდა იმისა, რომ ინტენსიური საფრთხეები ემუქრებათ, როგორიცაა ძლიერი მიწისძვრა, მოქმედი ვულკანები, დიდი წყალდიდობები, ცუნამები ან ქარიშხლები, ასევე ახასიათებთ ამ საფრთხეების მიმართ მაღალი მოწყვლადობა. იხ. ასევე ტერმინი „ექსტენსიური რისკი“.



## კატასტროფა

თემის ან საზოგადოების ფუნქციონირების მნიშვნელოვანი მოშლა, რომელიც მოიცავს ფართომასშტაბიან აღამიანურ, მატერიალურ, ეკონომიკურ ან ეკოლოგიურ დანაკარგებს ან/და ზეგავლენას, რომელიც აღემატება დაზარალებული თემის ან საზოგადოების საკუთარი რესურსებით გამკლავების უნარს.

**კომენტარი:** კატასტროფებს ხშირად აღწერენ, როგორც შემდეგი კომპონენტების კომბინაციის შედეგს: საფრთხის წინაშე დგომა; მოწყვლადობის არსებული მაჩვენებლები; შესაძლო უარყოფით შედეგებთან გამკლავების ან მათი შემცირებისთვის არასაკმარისი პოტენციალი და საშუალებები. კატასტროფის შედეგი შეიძლება იყოს: აღამიანის სიკვდილი, სხეულის დაზიანება, დაავადება,

ფიზიკური და ფსიქოლოგიური ჰანმრთელობისა თუ სოციალური კეთილდღეობის გაუარესება, ქონებრივი ზარალი, საარსებო წყაროს დაკარგვა და მომსახურების სფეროს მოშლა, სოციალურ-ეკონომიკური სისტემების რღვევა და გარემოს დეგრადაცია.

## კატასტროფის პოტენციური რისკის მართვა

მართვის ღონისძიებები, ორიენტირებული კატასტროფის ახალი ან მომეტებული რისკის განვითარების თავიდან აცილებაზე.

**კომენტარი:** ეს ტერმინი ისეთი რისკების მართვაზე აკეთებს აქცენტს, რომელიც შეიძლება მომავალში, რისკების შემცირების პოლიტიკის არარსებობის პირობებში, განვითარდეს. ეს ცნება არ ეხება იმ რისკებს, რომლებიც უკვე არსებობს და რომელთა მართვა-შემცირება ახლაა შესაძლებელი. იხ. ასევე განმარტება ტერმინისა „კატასტროფის რისკის კორექციული მართვა“.

## კატასტროფის რისკი

კონკრეტულ თემში ან საზოგადოებაში პერსპექტივაში განსაზღვრული დროის პერიოდში კატასტროფით გამოწვეული ისეთი პოტენციური დანაკარგები, როგორებიცაა ადამიანების დაღუპვა, ჸანმრთელობის გაუარესება, საარსებო წყაროებისა და მატერიალური საშუალებების დაკარგვა, მომსახურების (საზოგა-დოებრივი) სფეროს მოშლა.

**კომენტარი:** კატასტროფის რისკის განსაზღვრება კატასტროფების ცნებას მოიაზრებს, როგორც მუდმივად არსებული რისკის პირობების შედეგს. კატასტროფის რისკი პოტენციური დანაკარგების სხვადასხვა ტიპის კომპონენტებისაგან შედგება, რისი რაოდენობრივად შეფასებაც ხშირად რთულია. მიუხედავად ამისა, უპირატესი საფრთხეების შესახებ ცოდნის, მოსახლეობის სტრუქტურისა და მისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხასიათის შესახებ მონაცემების საფუძველზე შესაძლებელია კატასტროფის რისკების ზოგადად შეფასება და კარტირება.

## **კატასროფის რისკის მაკონექტირებელი მართვა\***

მართვითი ორნისძიებები, რომლებიც მიმართულია უკვე არსებული კატასტროფის რისკის კონექტირება-შემცირებისკენ.

**კომენტარი:** ამ ცნებით გამოიყოფა ის განსხვავება, რომელიც არის უკვე არსებულ რისკებსა (რომლებიც საჭიროებს დაუყოვნებლივ რეაგირებასა და შემცირებას) და პოტენციურ რისკებს (რომლებიც შეიძლება გამოვლინდეს მომავალში, თუ მათ მიმართ არ იქნა გატარებული რისკის შემცირების სტრატეგია) შორის. იხ. ასევე ტერმინი „პერსპექტიული რისკის მართვა“.



## **კატასტროფის რისკის მართვა**

აღმინისტრაციული დირექტივების, ორგანიზაციების, სამუშაო უნარ-ჩვევების და შესაძლებლობათა სისტემატური გამოყენების პროცესი, რომლის ფარგლებშიც საფრთხეების უარყოფითი ზეგავლენისა და კატასტროფის ალბათობის შემცირების მიზნით ხორციელდება სტრატეგიის, პოლიტიკისა და პროგლომის გამკვლავების გაუმჯობესებული პოტენციალის გამოყენება.

**კომენტარი:** ეს ტერმინი დამატებით განმარტავს „რისკის მართვის“ ზოგად ცნებას და ეხება კატასტროფებთან დაკავშირებული რისკების კონკრეტულ საკითხებს. კატასტროფის რისკის მართვა მიზნად ისახავს პრევენციის, მიტიგაციის, მზადყოფნის ღონისძიებებისა და ამასთან დაკავშირებული ზომების გატარებით საფრთხის უარყოფითი ეფექტების თავიდან აცილებას ან მათი განვითარების ვექტორის დადებითი მიმართულებით შეცვლას.



## **კატასტროფის რისკის შემცირება**

რისკის შემცირების კონცეფცია და პრაქტიკული ქმედებებით განპირობებული სისტემატური საქმიანობა, რომელიც ხორციელდება კატასტროფის გამომწვევი ისეთი მიზეზების ანალიზისა და კონტროლის საშუალებით, როგორიცაა საფრთხის წინაშე აღმოჩენის ალბათობის შემცირება, მოსახლეობისა და ქონების მოწყვლადობის (დაუცველობის) შემცირება, მიწისა და

**გარემოს რესურსების უფრო გონივრული მართვა და საზიანო მოვლენებისათვის მზადების გაუმჯობესება.**

**კომენტარი:** კატასტროფის რისკის შემცირების მიმართ ერთიანი მიღვომა მოცემულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 2005 წელს მიღებულ „ჰიოგოს სამოქმედო ჩარჩოპროგრამაში“, რომლის მოსალოდნელ შედეგს წარმოადგენს „კატასტროფების შედეგად მოსახლეობაში მსხვერპლის და თემებისა და ქვეყნების სოციალური, ეკონომიკური და ეკოლოგიური ზარალის არსებითად შემცირება“. კატასტროფების შემცირების საერთაშორისო სტრატეგიის (ISDR) სისტემა „ჰიოგოს სამოქმედო ჩარჩოპროგრამის“ განხორციელების მხარდასაჭერად გვთავაზობს მთავრობებს, ორგანიზაციებს და სამოქალაქო საზოგადოებების აქტიურ წარმომადგენელთა შორის თანამშრომლობის მექანიზმს. საინტერესოა, რომ, მართალია, ზოგჯერ გამოიყენება ტერმინი „კატასტროფის შემცირება“, მაგრამ ტერმინი „კატასტროფის რისკის შემცირება“ უკეთესად გადმოსცემს კატასტროფათა რისკების ხასიათის უწყვეტობასა და რისკების შესამცირებლად ხელთ არსებულ შესაძლებლობებს.

## კატასტროფის რისკის შემცირების გეგმა

სახელისუფლებო ორგანოს, დანგობრივი უწყების, ორგანიზაციის ან საწარმოს მიერ შემუშავებული დოკუმენტი, რომელშიც მოცემულია კატასტროფის რისკების შესამცირებელი მიზნები, სპეციფიკური ამოცანები და ამ ამოცანების გადასწყვეტად საჭირო აუცილებელი ქმედებები.

**კომენტარი:** კატასტროფის რისკების შემცირების გეგმის შემუშავება უნდა ხდებოდეს „ჰიოგოს ჩარჩოპროგრამის“ რეკომენდაციების საფუძველზე და განხილული და კოორდინირებული უნდა იყოს განვითარების შესაბამისი გეგმების, რესურსების განაწილებისა და პროგრამული საქმიანობის ფარგლებში. ეროვნული გეგმები უნდა განსაზღვრავდეს ადმინისტრაციული მართვის თითოეული დონის ვალდებულებებს და მისადაგებული უნდა იყოს არსებულ სხვადასხვა სოციალურ თუ გეოგრაფიულ გარემოებასთან. გეგმაში ასევე დაკონკრეტებული უნდა იყოს დასახული ქმედებების შესრულების ვადები, მათ შესრულებაზე პასუხისმგებლობები და დაფინანსების წყაროები. სადაც შესაძლებელია, ეს გეგმები დაკავშირებული უნდა იყოს კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის გეგმებთან.

## კატასტროფის რისკის შემცირების ეროვნული პლატფორმა

ზოგადი ტერმინი, რომელიც კატასტროფის რისკის შემცირების სფეროში ეროვნულ დონეზე საკონკლინაციო და სტრატეგიული ხელმძღვანელობის მრავალდარგობრივ და დისკიპლინათაშორის მექანიზმებს აღნიშნავს. იგი ქვეყნის მასშტაბით ყველა დაინტერესებული მხარის სახელმწიფო სტრუქტურის, კერძო სექტორის და სამოქალაქო საზოგადოების თანამონაწილეობას გულისხმობს.

**კომენტარი:** ეს განსაზღვრება გამომდინარეობს „ჰიოგოს ჩარჩოპროგრამის“ მე-10 სქოლიოდან. კატასტროფის რისკის შემცირებისათვის აუცილებელია სხვადასხვა დარგისა და ორგანიზაციის ხელთ არსებული ცოდნა, შესაძლებლობა და მათ მიერ ამ საქმეში ჩადებული რესურსები. ამ ორგანიზაციებში იგულისხმება, ასევე, ეროვნულ დონეზე მომუშავე და სათანადო მანდატით აღჭურვილი გაეროს სისტემის სააგენტოები. დარგების უმრავლესობა კატასტროფების ზემოქმედებას უშუალოდ ან ირიბად განიცდიან, უფრო მეტიც, ბევრ მათგანს კატასტროფებზე რეაგირებასთან დაკავშირებით კონკრეტული პასუხისმგებლობა ეკისრება. ეროვნული პლატფორმა, კატასტროფის რისკის შემცირების მიზნით, ყოველმხრივ უზრუნველყოფს ქმედებების გაძლიერებას ეროვნულ დონეზე. შესაბამისად, იგი კატასტროფის რისკის შემცირების საერთაშორისო სტრატეგიის ეროვნულ მექანიზმს წარმოადგენს.

### კლიმატის ცვლილება

- a) კლიმატის ცვლილების მთავრობათაშორისი საბჭო (IPCC) კლიმატის ცვლილებას შემდეგნაირად განმარტავს: „კლიმატის მდგრამარეობის ცვლილება, რომელიც განისაზღვრება (მაგალითად, სტატისტიკური ანალიზის მეშვეობით) საშუალო მაჩვენებლებში მომხდარი ცვლილებებით ანდა მისი თვისებების ცვალებადობით, რომელიც შენარჩუნებულია ხანგრძლივი პერიოდის, ჩვეულებრივ, ათეული წლების ან უფრო მეტი დროის, განმავლობაში. კლიმატის ცვლილება შეიძლება გამოიწვიონ შიდა ზუნებრივმა პროცესებმა ან გარე ძალებმა, ან ატმოსფეროს შედგენილობასა თუ მიწათსარგებლობაში მიმდინარე მუდმივმა ანთროპოგენურმა ცვლილებებმა“.

b) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კლიმატის ცვლილების ჩარჩოკონვენციის (UNFCCC) განმარტების მიხედვით: „კლიმატის ცვლილება ნიშნავს კლიმატის ცვლილებას, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ განპირობებულია ადამიანის ატმოსფეროს გლობალური შემადგენლობის ცვლილების გამომწვევი საქმიანობით, და რომელიც აძლიერებს დროის შედარებითი პერიოდის განმავლობაში დაკვირვებულ კლიმატის ბუნებრივ რყევებს“.<sup>1</sup>

**კომენტარი:** კონკრეტული კონტექსტიდან გამომდინარე, შეიძლება ორივე ეს განმარტება ესადაგებოდეს კატასტროფის რისკის შემცირების მიზნებს. UNFCCC-ის განმარტება უფრო შეზღუდულია, რადგან ის არ გულისხმობს ბუნებრივი მიზეზებით გამოწვეულ კლიმატის ცვალებადობას. IPCC-ის განმარტება უფრო პოპულარულ ენაზე შემდეგნაირად შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: „კლიმატის ცვალებადობა არის კლიმატის ცვალებადობის ისეთი მდგომარეობა, რომელიც ათეული წლების ან უფრო მეტი დროის განმავლობაში მიმდინარეობს და გამოწვეულია ბუნებრივი მიზეზებით ან ადამიანის ქმედების შედეგად“.



## მდგრადი განვითარება

განვითარების პროცესი, რომელიც შეესაბამება აწმუნს საჭიროებებს და არ შეზღუდავს მომავალი თაობების უნარს, თავად დაიკმაყოფილონ საკუთარი საჭიროებები.

**კომენტარი:** 1987 წელს ბრანდტლენდის კომისიის მიერ შემუშავებული განსაზღვრება ძალიან მოკლეა და მსოფლიოს განვითარებასთან და ამასთან დაკავშირებულ სოციალურ, ეკონომიკურ და გარემოს პროცესებთან მიმართებით მრავალ უპასუხო კითხვას ტოვებს. კატასტროფის რისკი ასოცირდება განვითარების არამდგრად ელემენტებთან, როგორიცაა გარემოს დეგრადაცია; მეორე მხრივ, კატასტროფის რისკის შემცირებას შეუძლია ხელი შეუწყოს მდგრადი განვითარების პროცესს შესაძლოდანაკარგის შემცირებისა და განვითარების მეთოდების გაუმჯობესებით.

1 ამონარიდი კონვენციის ოფიციალურად მიღებული თარგმანიდან.

## მზადება

სამთავრობო სტრუქტურების, რეაგირებისა და აღდგენის საკითხებში სპეციალიზებული ორგანიზაციების, თემებისა და ცალკეული პირების მიერ ცოდნის შეძენა და შესაძლებლობების განვითარება, რათა ეფექტურად განხორციელდეს მოსალოდნელი, მოახლოებული ან უკვე გამოვლენილი სახითათო მოვლენების ან გარემოებების წინასწარ განსაზღვრა, მათგან რეაგირება და აღდგენა.

**კომენტარი:** მზადებასთან დაკავშირებული საქმიანობა კატასტროფის რისკის მართვის კონტექსტში ხორციელდება და მისი მიზანია ყველა ტიპის საგანგებო სიტუაციის ეფექტური მართვისათვის საჭირო პოტენციალის გაზრდა და რეაგირებიდან მდგრად აღდგენაზე მოწესრიგებულად გადასვლა. მზადება კატასტროფის რისკის გონივრულ ანალიზსა და ადრეული შეტყობინების სისტემებთან ეფექტურ კავშირს ეფუძნება. ამას გარდა, ის ისეთ ღონისძიებებს მოიცავს, როგორიცაა საგანგებო დაგეგმვა; აღჭურვილობისა და მასალების წინასწარ მომარავება; კოორდინირების, ევაკუაციისა და საბოგადოების ინფორმირებისათვის, ასევე ამასთან დაკავშირებული სწავლებებისა და საველე ვარჯიშებისათვის საჭირო მექანიზმების შემუშავება და განვითარება. ყოველივე ამას ფორმალურად უნდა ამყარებდეს ინსტიტუციური, სამართლებრივი და საბიუსისტო შესაძლებლობები. ტერმინთან „მზადება“ დაკავშირებულია ტერმინი „მზადყოფნა“, რომელიც შეესაბამება საჭიროების შემთხვევაში გამოვლენილი სწრაფი და სათანადო რეაგირების შესაძლებლობას.

## მიტიგაცია (შერჩილება)

საფრთხეებისა და მათთან დაკავშირებული კატასტროფების უარყოფითი ზემოქმედების შემცირება ან შეზღუდვა.

**კომენტარი:** ხშირ შემთხვევაში ვერ ხერხდება საფრთხეების უარყოფითი შედეგების თავიდან სრულად აცილება, თუმცა სხვადასხვა სტრატეგიისა და ქმედების მეშვეობით შესაძლოა მნიშვნელოვნად შემცირდეს მათი მასშტაბები და სიმძაფრე. მიტიგაციური ზომები მოიცავს საინჟინრო ტექნილოგიებს, შენობების მშენებლობას გაზრდილი საიმედოობის უზრუნველყოფით, გარემოს დაცვითი პოლიტიკის გატარებასა და ცნობიერების ამაღლებას. უნდა აღინიშნოს, რომ გარემოს დაცვის კლიმატის ცვალებადობის სტრატეგიაში ცნებას

„მიტიგაციას“ სხვაგვარი განმარტება აქვს და სათბურის აირების გაფრქვევის შემცირებას ნიშნავს, რაც კლიმატის ცვლილების წყაროს წარმოადგენს.

## მიწათსარგებლობის დაგეგმვა

პროცესი, რომელსაც ახორციელებენ სახელმწიფო უწყებები, რათა მიწათსარგებლობის მიზნით მოხდეს სხვადასხვა ალტერნატივის გამოვლენა, შეფასება და გადაწყვეტილების მიღება. აქვე გათვალისწინებულია გრძელვადიანი ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი მიზნები, სხვადასხვა თემისა და ინტერესთა ჯგუფებისათვის მოსალოდნელი შედეგები, ასევე, სამომავლოდიმგეგმების შემუშავება და განახლება, რომლებშიც აღწერილია მიწათსარგებლობის ნებართვები ან დასაშვები მეთოდები.

**კომენტარი:** მიწათსარგებლობის დაგეგმვა წარმოადგენს მდგრადი განვითარების მნიშვნელოვან კომპონენტს. იგი მოიცავს კვლევების ჩატარებასა და კარტირებას; ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და საფრთხის შესახებ მონაცემების ანალიზს, მიწათსარგებლობის შესახებ ალტერნატიული გადაწყვეტილებების ფორმულირებას. ადმინისტრაციული მართვის სხვადასხვა დონეზე გრძელვადიანი გეგმების შემუშავებას სხვადასხვა გეოგრაფიული მასშტაბით. მიწათსარგებლობის დაგეგმვას შეუძლია კატასტროფების შედეგების მიტიგაცია (შერბილება) და რისკების შემცირებაც, თუკი არ დაუშვებს დასახლებების გაჩენასა და განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობას ისეთ ადგილებში, სადაც საფრთხის დიდი ალბათობაა. ასევე გასათვალისწინებელია სატრანსპორტო, ელექტრო-მომარაგების, წყალმომარაგების, კანალიზაციისა და სხვა სასიცოცხლო მნიშვნელობის მომსახურების მიწოდების მარშრუტები.

## მოწყვლადობა

თემის, სისტემის ან ქონების ისეთი მახასიათებლები და გარემოებები, რომლებიც განაპირობებენ მათ დაუზველობას საფრთხის საზიანო ზემოქმედებისგან.

**კომენტარი:** მოწყვლადობის მრავალი ასპექტი არსებობს, რომლებიც განპირობებულია მატერიალური, სოციალური,

ეკონომიკური და ეკოლოგიური ფაქტორებით. მაგალითად შეიძლება გამოდგეს შენობათა დაპროექტებისა და მშენებლობის დაბალი ხარისხი, მატერიალური ფასეულობების არასაკმარისად დაცულობა, საზოგადოების გათვითცნობიერებისა და ინფორმირების დაბალი დონე, ოფიციალური სტრუქტურების მიერ რისკისა და მზადყოფნის ზომების მნიშვნელობის არასაკმარისად გააზრება, ასევე, რაციონალური მიწათსარგებლობის მეთოდების უგულებელყოფა. მოწყვლადობის დონე არსებითად განსხვავდება თემისა და დროის მიხედვით. მოცემული განმარტება მოწყვლადობას განსაზღვრავს, როგორც ინტერესის ელემენტის (თემის, სისტემის, ქონების) მახასიათებელს, რომელიც საფრთხისაგან დამოუკიდებლად არსებობს. აღსანიშნავია, რომ, ჩვეულებრივ, ეს სიტყვა გამოიყენება უფრო ზოგადი მნიშვნელობით და შესაბამისი ელემენტის საფრთხეზე დამოკიდებულებასაც მოიცავს.



## პრევენცია

**საფრთხეებისა და მათთან დაკავშირებული კატასტროფების უარყოფითი შედეგების სრული აცილება.**

**კომენტარი:** ტერმინი „პრევენცია“ (ე.ი. კატასტროფების პრევენცია) გამოხატავს კონცეფციასა და განზრახვას, რომელიც გულისხმობს, რომ წინასწარ გატარებული ღონისძიებებით სრულად უნდა მოხდეს პოტენციური უარყოფითი გავლენის თავიდან აცილება. მაგალითად: წყალდიდობების რისკის აღმოფხვრის მიზნით დამბების ან ჭებირების მშენებლობა; მიწათსარგებლობის ნორმები, რომლებიც კრძალავს მაღალი რისკის ზონებში რაიმე სახის დასახლებების მოსაწყობად ნებართვების გაცემას; სეისმომედეგი შენობა-ნაგებობების დაპროექტება, რაც მოცემულ ტერიტორიაზე ნებისმიერი შესაძლო მინისტრის შემთხვევაში უზრუნველყოფს სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტების ფუნქციონირებასა და შენარჩუნებას; ძალიან ხშირად შეუძლებელია დანაკარგები სრულად იქნეს თავიდან აცილებული. ასეთ შემთხვევაში პრევენცია გადაიქცევა მიტიგაციად (შერბილებად). ნაწილობრივ ამის გამოა, რომ ტერმინებს „პრევენცია“ და „მიტიგაცია“ არასპეციალისტები გამოიყენებენ, როგორც ურთიერთმონაცვლე სიტყვებს.

## პროგნოზი

განცხადება ან სტატისტიკური შეფასება კონკრეტულ ტერიტორიაზე რაიმე მდგომარეობის ან მოვლენის შესაძლებელი გამოვლენის შესახებ.

**კომენტარი:** მეტეოროლოგიაში პროგნოზი აჩვენებს სამომავლო მდგომარეობას, ხოლო გაფრთხილება ნიშნავს მომავალში პოტენციურად საშიშ ვითარებას.

## პოტენციალი

თემის, საზოგადოების ან ორგანიზაციის შიგნით არსებული ყველა ძლიერი მხარის, დამახასიათებელი თვისებისა და რესურსის ერთობლიობა, რაც გამოდგება საერთო მიზნების მისაღწევად.

**კომენტარი:** პოტენციალი შეიძლება მოიცავდეს ინფრასტრუქტურას და მატერიალურ საშუალებებს, უწყებებსა და ორგანიზაციებს, პრობლემის გამკლავების საზოგადოებაში არსებულ უნარებს, ადამიანების მიერ დაგროვილ ცოდნას, მათ უნარ-ჩვევებსა და კოლექტურ მოქმედებათა ისეთ მახასიათებლებს, როგორებიცაა: სოციალური ურთიერთობები, ლიდერობა და ხელ-მძღვანელობა. პოტენციალი ასევე შესაძლებელია განისაზღვროს, როგორც შესაძლებლობები. ტერმინი „პოტენციალის შეფასება“ აღნიშნავს ისეთ პროცესს, რომლის ფარგლებშიც ამა თუ იმ ჯგუფის შესაძლებლობები (პოტენციალი) გაანალიზდება სასურველ მიზნებთან მიმართებით, ხოლო შემდგომი ქმედებების დასახვის მიზნით გამოვლინდება პოტენციალის ნაკლოვანებები.

## პოტენციალის განვითარება

პროცესი, რომლის მეშვეობითაც ცალკეული ადამიანები, ორგანიზაციები და ზოგადად საზოგადოება გარკვეული დროის განმავლობაში სისტემატურად ახდენენ თავიანთი შესაძლებლობების წახალისებას და განვითარებას სოციალური და ეკონომიკური მიზნების მისაღწევად, რაც ასევე შესაძლებელია ცოდნის, უნარ-ჩვევების, არსებული სისტემების და ინსტიტუციების გაუმჯობესებით.

**კომენტარი:** პოტენციალის განვითარების კონცეფცია განავრცობს ტერმინს „შესაძლებლობების გრდა“,

რადგან ის მოიცავს შესაძლებლობების (პოტენციალის) წარმოქმნისა და ზრდის მუდმივი შენარჩუნებისათვის საჭირო ყველა ასპექტს. ეს ტერმინი გულისხმობს სწავლებას და სხვადასხვა სახის ტრენინგს, ასევე ინსტიტუციების, პოლიტიკური გათვითცნობიერების, ფინანსური რესურსების, ტექნოლოგიური სისტემების განვითარებისაკენ მიმართულ უწყვეტ ძალისხმევას და უფრო ფართო, სოციალურად და კულტურულად ხელშემწყობი გარმოს შექმნას.

## რეაგირება

კატასტროფის დროს ან როგორც კი კატასტროფა მოხდება გადაუდებელი დახმარების გაწევა და სახელმწიფოს მხარდაჭერა ადამიანების სოციოსხლის გადარჩენის, მათი ჟანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის შემცირების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის და დაზარალებული მოსახლეობისათვის პირველადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით.

**კომენტარი:** კატასტროფებზე რეაგირება, პირველ რიგში, ფოკუსირებულია გადაუდებელ და მოკლევადიან საჭიროებებზე და მას ზოგჯერ „კატასტროფის დროს დახმარებას“ უწოდებენ. მკაფიო ზღვარი ამგვარ რეაგირებასა და შემდგომ აღდგენით ეტაპებს შორის განსაზღვრული არ არის. რეაგირების ფარგლებში მიმდინარე ზოგიერთი ღონისძიება, მაგალითად, დროებითი საცხოვრებლების და წყლის მიწოდების უზრუნველყოფა, შეიძლება აღდგენის ეტაპზეც გაგრძელდეს.

## რეკონსტრუქცია

არსებული შენობა-ნაგებობების გაძლიერება ან მოდერნიზება, რათა უფრო გამძლე და მდგრადი იყოს დამაზიანებელი საფრთხეების მიმართ.

**კომენტარი:** რეკონსტრუქცია მოითხოვს შენობა-ნაგებობების აგებულებისა და ფუნქციის, ასევე იმ დატვირთვის გათვალისწინებას, რომლებიც თავს იჩენენ ნაგებობაზე გარკვეული საფრთხეების ან საფრთხის შემცველი სხვადასხვა სცენარის განვითარების შედეგად. ასევე მხედველობაშია მისაღები რეკონსტრუქციის სხვადასხვავარიანტის მიზანშენონილობადაღირებულება.

რეკონსტრუქციის მაგალითებია: კედლების გაძლიერების შემთხვევაში მათთვის სიხისტის წიბოების დამატება, კოლონების დამატებითი არმირება, გადახურვისა და კედლის კონსტრუქციების შეუღლების კვანძში ფოლადის დამაკავშირებელი ელემენტების დამატება, ფანჯრების დარაბებით აღჭურვა, განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტებისა და აღჭურვილობის დაცვის გაუმჯობესება.

## რისკი

**მოვლენის ალბათობისა და მისი უარყოფითი შედეგების კომბინაცია.**

**კომენტარი:** რისკის ეს განსაზღვრება ძალიან ახლოსაა ISO/IEC-ის 73-ე სახელმძღვანელო განსაზღვრებასთან. სიტყვა „რისკი“ აქვს ორი განსხვავებული მნიშვნელობა: ფართო გაგებით აქცენტი კეთდება შანსის ან ალბათობის ცნებაზე, როგორიცაა, მაგალითად, „ავარიის რისკი“, ხოლო უფრო ვიწრო სპეციალური გაგებით კი, როგორც წესი, ხაზგასმულია შედეგები, „პოტენციური დანაკარგები“ რომელიმე კონკრეტული მიზეზის, ადგილმდებარეობის ან დროის პერიოდისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანები ნამდვილად არ აღიქვამენ ერთნაირად სხვადასხვა რისკის მნიშვნელობასა და გამომწვევ მიზეზებს.

წინამდებარე გამოცემაში იხ. რისკთან დაკავშირებული სხვა ტერმინები: დასაშვები რისკი, კატასტროფის რისკის კორექციული მართვა, კატასტროფის რისკი, კატასტროფის რისკის მართვა, კატასტროფის რისკის შემცირება, კატასტროფის რისკის შემცირების გეგმები, მრავალმხრივი რისკი, ინტენსიური რისკი, კატასტროფის რისკის პერსპექტიული მართვა, დარჩენილი რისკი, რისკის შეფასება, რისკის მართვა, რისკის ტრანსფერი.

## რისკის მართვა

**პოტენციური ზიანის და დანაკარგის მინიმუმამდე დაყვანის მიზნით გაურკვევლობის მართვის სისტემური მიდგომა და პრაქტიკა.**

**კომენტარი:** რისკის მართვა მოიცავს რისკის შეფასებას და ანალიზს, ასევე სტრატეგიების დაწერებას, რისკის კონტროლის, შემცირებისა და ტრანსფერის

მიზნით სპეციფიკური ქმედებების განხორციელებას. საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღების დროს, რისკის მინიმუმადე დაყვანის მიზნით, მას ხშირად იყენებენ ორგანიზაციები, ასევე ისეთი საოპერაციო რისკების გასათვალისწინებლად, როგორიცაა ბიზნესის ჩავარდნა, წარმოების გაჩერება, ეკოლოგიური ზიანი, ბუნებრივი საფრთხეებითა და ხანძრებით გამოწვეული სოციალურ სფეროზე ზემოქმედება და ზარალი. რისკის მართვა წყალმომარაგების, ენერგეტიკისა და სოფლის მეურნეობის დარგებისათვის უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს, რამდენადაც ამ შემთხვევაში ექსტრემალური მეტეოროლოგიური და კლიმატური პირობები უშუალო ზეგავლენას ახდენს საწარმოო პროცესზე.

## რისკის ტრანსფერი

**კონკრეტული რისკის ფინანსური შედეგების კოვიდის გადატანის მიზნიდან მეორე მხარეს გადატანის პროცესი, როდესაც ოჯახი, თემი, საწარმო თუ სახელმწიფო უწყება კატასტროფის გამოვლინების შემდეგ სხვა მხრიდან იღებს იმ რესურსებს, რომლებიც განკუთვნილი იყო ამ მეორე მხარის მიმდინარე თუ საკომპენსაციო სოციალური თუ ფინანსური სარგებლისათვის.**

**კომენტარი:** რისკის ტრანსფერის კარგად ცნობილ ფორმას წარმოადგენს დაბლვევა, სადაც რისკის ფინანსურ შედეგებს ფარავს მზღვეველი, დაბლვეულის მიერ გადახდილი მიმდინარე თანხობრივი შენატანების სანაცვლოდ. რისკის ტრანსფერი შესაძლებელია მოხდეს არაოფიციალურად, ოჯახსა და თემს შორის (თემის ფარგლებში), როდესაც არსებობს ურთიერთდახმარების შესაძლებლობა გრანტისა და კრედიტის სახით. ასევე რისკის ტრანსფერი ხორციელდება ოფიციალურად, როდესაც მთავრობა, მზღვეველები, მულტილატერალური ბანკები, მომეტებული საფრთხის შემცველი საწარმოები ქმნიან მექანიზმებს საგანგებო შემთხვევებში მოსალოდნელი ზიანის გამკლავების მხარდასაჭერად. ასეთი მექანიზმებია დაბლვევისა და გადაბლვევის კონტრაქტები, კატასტროფის ობლიგაციები, საგანგებო საკრედიტო საშუალებები და სარეზერვო ფონდები. ამ შემთხვევაში ხარჯები, შესაბამისად, პრემიებით, ინვესტორთა წილით, საპროცენტო დივიდენდებით ან წარსულში დაგროვებული დანაზოგით იფარება.

## რისკის შეფასება

მეთოდოლოგია, რომელიც გამოიყენება რისკის ხასიათისა და მასშტაბის განსასაზღვრად პოტენციური საფრთხეების ანალიზისა და არსებული მოწყვლადობის (დაუცველობის) პირობების შეფასების გზით, რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს საფრთხის წინაშე მდგომ ადამიანებს, ქონებას, საარსებო წყაროებს და იმ გარემოს, რომელზეც ისინი არიან დამოკიდებული.

**კომენტარი:** რისკის შეფასება (და მასთან დაკავშირებული რისკის კარტირება) მოიცავს: საფრთხეების ტექნიკური მახასიათებლების მიმოხილვას. კერძოდ, ადგილმდებარეობას, ინტენსივობას, სიხშირეს და ალბათობას; საფრთხის ხარისხისა და მოწყვლადობის ანალიზს, ფიზიკური, ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური პარამეტრებისა და მოსახლეობის ჭანმრთელობის მდგომარეობის მაჩვენებლების ჩათვლით; ასევე სავარაუდო რისკის სცენარებით სავარაუდო დამაზიანებელი ფაქტორების მიმართ გამკლავების ალტერნატიულ და უპირატეს შესაძლებლობათა გამოვლენას და მათი ეფექტურობის შეფასებას. ღონისძიებათა ასეთ ერთობლიობასა და თანმიმდევრობას ზოგჯერ რისკის ანალიზის პროცესსაც უწოდებენ.

## საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების დაგეგმვა

მართვის პროცესი, რომლის ფარგლებშიც ხდება საზოგადოების ან გარემოსთვის საფრთხის შემცველი კონკრეტული პოტენციური მოვლენების ან შექმნილი სიტუაციების გაანალიზება, მისაღები ზომების წინასწარი განსაზღვრა და მოსამზადებელი ღონისძიებების ჩატარება, რათა მოხდეს ამ მოვლენებსა და სიტუაციებზე დროული, ეფექტური და სათანადო რეაგირება.

**კომენტარი:** საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების დაგეგმვის შედეგია ორგანიზებული და კოორდინირებული სამოქმედო გეგმა, რომელიც პროცესში ჩართულ მონაწილეებს საჭირო დროს მკაფიოდ განუსაზღვრავს მათ უწყებრივ თუ ორგანიზაციულ ფუნქციებს და რესურსებს, ინფორმაციის გაცვლის პროცესებს და ოპერატორიული მოქმედებების სქემებს. ეს გეგმა საშუალებას აძლევს პროცესში ჩართულ მონაწილეებს შესაძლო საგანგებო სიტუაციებისა და სტიქიური უბედურებების სცენარების მიხედვით გაითვალისწინონ, წინსაწარ განჭვრიტონ და გადაჭრან პრობლემები, რომლებიც კრიზისის დროს

შეიძლება წარმოიშვას. საგანგებო გეგმები ზოგადი მჩადების მნიშვნელოვანი ნაწილია. უნდა მოხდეს საგანგებო გეგმების სისტემატური განახლება და მათ საფუძველზე სწავლებების ჩატარება.

## საგანგებო სიტუაციების მართვა

საგანგებო სიტუაციასთან დაკავშირებული ყველა ასპექტის მოგვარების მიზნით ვალდებულებებისა და რესურსების ორგანიზება და მართვა. კერძოდ იგულისხმება მზადყოფნა, რეაგირება და პირველი რიგის გადაუდებელი აღდგენითი ღონისძიებების გატარება.

**კომენტარი:** კრიზისი ან საგანგებო სიტუაცია არის საფრთხის შემცველი გარემოება, რომელიც მოითხოვს გადაუდებელ ქმედებებს. საგანგებო სიტუაციაში ეფექტური ღონისძიებების გატარებამ შესაძლებელია თავიდან აგვაცილოს საფრთხის ესკალაცია და კატასტროფად გადაბრდა. საგანგებო სიტუაციების მართვა გულისხმობს ისეთი გეგმებისა და ინსტიტუციური მექანიზმების არსებობას, რაც საშუალებას იძლევა კომპლექსურად და კოორდინირებულად მოხდეს სამთავრობო, არასამთავრობო, მოხალისეთა და კერძო ორგანიზაციების ჩართვა და მათი ძალისხმევის მიმართვა, რომ საგანგებო სიტუაციისას შეიძლებოდეს საჭიროებათა მთელ სპექტრზე რეაგირება. ზოგჯერ ტერმინის „საგანგებო სიტუაციის მართვა“ ნაცვლად გამოიყენება ტერმინი „კატასტროფის მართვა“.

## საგანგებო სიტუაციების სამსახურები

რიგი სპეციალიზებული სამსახურებისა, რომლებსაც საგანგებო სიტუაციების დროს ადამიანებისა და ქონების მომსახურებისა და დაცვის განსაკუთრებული ვალდებულებები და ამოცანები ეკისრებათ.

**კომენტარი:** საგანგებო სიტუაციების სამსახურები შემდეგ ორგანიზაციებსა და უწყებებს მოიცავს: სამოქალაქო თავდაცვის ორგანოები, პოლიცია, სახანძრო-სამაშველო, სასწარაფო სამედიცინო დამარების, პარამედიცინის (ექიმამდელი) და კატასტროფის მედიცინის სამსახურები, წითელი ჯვრის და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებები, ელექტრომომარაგების, სატრანსპორტო და კავშირგაბმულობის სპეციალიზებული საავარიო

დანაყოფები, ასევე სხვა, მსგავსი მომსახურებით დაკავებული ორგანიზაციები.

## საზოგადოების გათვითცნობიერება

საზოგადოების გათვითცნობიერების დონე კატასტროფების რისკის, კატასტროფების გამომწვევი ფაქტორების და იმ ქმედებების შესახებ, რომლებიც შესაძლებელია ინდივიდუალურად ან კოლექტურად განხორციელდეს საფრთხის წინაშე აღმოჩენის შესაძლებლობისა და მოწყვლადობის შემცირების მიზნით.

**კომენტარი:** საზოგადოების გათვითცნობიერება კატასტროფის რისკის შემცირების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ამის მიღწევა შეიძლება, მაგალითად, მედიისა და საგანმანათლებლო არხების მეშვეობით ინფორმაციის მომზადებით და გავრცელებით, საინფორმაციო ცენტრებისა და ქსელების დაარსებით და საზოგადოებრივი ღონისძიებების ორგანიზებით, უმაღლესი საჭარო ოფიციალური პირებისა და თემთა ლიდერების მიერ ამ თემების პროპაგანდის მეშვეობით.

## სათბურის აირები

ატმოსფეროში არსებული ბუნებრივი და ანთროპოგენური წარმოშობის აირების აიროვანი კომპონენტები, რომლებიც შთანთქავენ და ასხივებენ დედამიწის ზედაპირის, თვით ატმოსფეროსა და ღრუბლებიდან გამოყოფილ სითბურ ინფრაწითელ რადიაციას.

**კომენტარი:** ეს განმარტება შეიმუშავა „კლიმატის ცვლილების მთავრობათაშორისმა საბჭომ“ (IPCC). ძირითადი სათბურის აირებია (GHG): წყლის ორთქლი, ნახშირორჟანგი, აზოტის ქვეფანგი, მეთანი და ოზონი.

## სამშენებლო კოდექსი (ნორმები და წესები)

ნორმატიული დოკუმენტების ან ინსტრუქციების და მათთან დაკავშირებული სტანდარტების ერთობლიობა, რომელთა დანიშნულებაა დაპროექტების, მშენებლობის, მასალების, შენობა-ნაგებობების რეკონსტრუქციისა და

ექსპლუატაციის სხვადასხვა ასპექტის გაკონტროლება, რაც აუცილებელია ადამიანის უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფისათვის, ნაგებობების სიმტკიცისა და მდგრადობის უზრუნველყოფის ჩათვლით.

**კომენტარი:** სამშენებლო კოდექსი შეიძლება მოიცავდეს როგორც ტექნიკურ, ისე ფუნქციურ სტანდარტებს. გათვალისწინებული უნდა იყოს საერთაშორისო გამოცდილება და თან უნდა ესადაგებოდეს ეროვნულ და ადგილობრივ ვითარებას. სამშენებლო კოდექსის ეფექტური გამოყენებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მის სისტემატურ შესრულებას.

## სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტები

მატერიალური ინფრასტრუქტურის განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტები, ტექნიკური ნაგებობები და სისტემები, რომლებსაც სოციალური, ეკონომიკური და ოპერატორულად ფუნქციონირების თვალსაზრისით საზოგადოების ან თემისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვთ როგორც ჩვეულებრივ, ისე საგანგებო სიტუაციების პირობებში.

**კომენტარი:** სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტები წარმოადგენ ინფრასტრუქტურის ელემენტებს, რომლებიც საზოგადოებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე მომსახურეობას უზრუნველყოფენ. ეს მოიცავს სატრანსპორტო სისტემებს, აეროპორტებს და საზღვაო პორტებს, ელექტრო-, წყალმომარაგების და კავშირგაბმულობის სისტემებს, საავადმყოფოებსა და ჭანდაცვის ობიექტებს, სახანძრო-სამაშველო სამსახურებს, პოლიციას და საჯარო ადმინისტრაციულ სამსახურებს.

## საფრთხეები

სახითათო მოვლენა, ნივთიერება, ადამიანის ქმედება ან ვითარება, რასაც შეუძლია გამოიწვიოს სიკვდილი, სხეულის დაზიანება, დაავადება ან ჟანმრთელობის გაუარესება, ქონებრივი ზარალი, საარსებო წყაროს დაკარგვა და მომსახურების სთვეროს მოშლა, სოციალურ-ეკონომიკური სისტემების რღვევა და გარემოს დაზიანება.

**კომენტარი:** კატასტროფის რისკის შემცირების თვალსაზრისით, საფრთხეები, როგორც „ჰიოგოს ჩარჩოპროგრამის“ მესამე სქოლიოშია მითითებული,

არის: „ბუნებრივი წარმოშობის საფრთხეები ან მასთან დაკავშირებული ეკოლოგიური თუ ტექნოლოგიური საფრთხეები ან რისკები“. ამგვარი საფრთხეები სხვა-დასხვა გეოლოგიური, მეტეოროლოგიური, ჰიდროლო-გიური, ოკეანური, ბიოლოგიური და ტექნოლოგიური წყაროებიდან წარმოიშობა. ამასთან გასათვალის-წინებელია, რომ ზოგჯერ საფრთხე რამდენიმე წყა-როს ერთდროული მოქმედების შედეგად ჩნდება. საბუნებისმეტყველო სფეროში საფრთხეები აღწერილია რაოდენობრივად, სხვადასხვა ტერიტორიაზე სხვადასხვა ინტენსივობის ალბათობით, რაც ისტორიული მონაცემების ან მეცნიერული ანალიზის საფუძველზე მიღებული.

წინამდებარე გამოცემაში იხ. საფრთხესთან დაკავ-შირებული სხვა ტერმინები: ბიოლოგიური საფრთხე, გეოლოგიური საფრთხე, ჰიდრომეტეოროლოგიური საფრთხე, ბუნებრივი საფრთხე, სოციალურ-ბუნებრივი საფრთხე, ტექნოლოგიური საფრთხე.

## საფრთხის წინაშე დგომა

საფრთხის შემცველ ზონაში მყოფი ადამიანები, ქონება, სისტემები და სხვა, რომლებიც შეიძლება ემსხვერპლონ ამ ვითარებას.

**კომენტარი:** საფრთხის წინაშე ყოფნის საზომი შეიძლება იყოს მოცემულ ადგილას არსებული ადამიანების რიცხოვნება ან მატერიალური ფასეულობების სახეობები. აქვე შედის კონკრეტული საფრთხის წინაშე მდგომი ელემენტების სპეციფიკური მოწყვლადობაც (დაუცველობა). ყოველივე ეს განსახილველ ტერიტორიაზე არსებულ საფრთხესთან ასოცირებული რისკის რაოდენობრივი მაჩვენებლის დადგენის საშუალებას იძლევა.

## სოციალურ-ბუნებრივი ხასიათის საფრთხე\*

კონკრეტული გეოლოგიური და ჰიდრომეტეო-როლოგიური საფრთხის შემცველი მოვლენების გახშირება. მაგალითად, მეწყერი, წყალდიდობა, გრუნტის ჟდომა და გვალვა, რომლებიც ბუნებრივი საფრთხეებისა და მიწის გადამეტებული ექსპლუატაციის ან მიწებისა და ეკოლოგიური რესურსების დეგრადაციის ურთიერთქმედებით წარმოიშობა.

**კომენტარი:** ეს ტერმინი გამოიყენება იმ გარემოებათა აღსანიშნავად, როდესაც ადამიანების ქმედება ზრდის კონკრეტული საფრთხის განვითარების აღბათობას, მათი ბუნებრივად გაჩენის აღბათობასთან შედარებით. არსებობს მტკიცებულება, რომ ამგვარი საფრთხეებიდან გამომდინარე კატასტროფათა დატვირთვა (სიხშირე და მასშტაბები) სულ უფრო და უფრო იზრდება. სოციალურ-ბუნებრივი ხასიათის საფრთხეთა თავიდან აცილება ან შემცირება შესაძლებელია დედამიწისა და ეკოლოგიური რესურსების გონივრული მართვით.

## სტრუქტურული და არასტრუქტურული ზომები

**სტრუქტურული ზომებია:** ნებისმიერი სახის შენობა-ნაგებობა და საინჟინრო-ტექნიკური კომპლექსი, რომლის დანიშნულებაა საფრთხეთა შესაძლო ზემოქმედების თავიდან აცილება ან შემცირება, ანდა შენობა-ნაგებობების და სისტემების საიმედოობისა და მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით საინჟინრო ტექნოლოგიების გამოყენება.

**არასტრუქტურული ზომებია:** ნებისმიერი ზომა, რომელიც არ არის მატერიალური სახის და რომელიც რისკებისა და ზეგავლენათა შემცირების მიზნით იყენებს ცალწას, პრაქტიკულ გამოცდილებასა და შეთანხმებებს, კერძოდ კი, სტრატეგიებსა და კანონებს, საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლებას, ტრენინგებსა და ცოდნის გავრცელებას.

**კომენტარი:** კატასტროფების რისკის შემცირების ყველაზე მეტად გავრცელებული სტრუქტურული ზომებია კაშხლები, დამბები, ჭებირები, ტალღისაგან დამცველი ბარიერები და ტალღამჭრელები, სეისმომედეგი შენობა-ნაგებობები და საევაკუაციო დამცავი ნაგებობები (თავშესაფრები). საერთო-სტანდარტული ხასიათის არასტრუქტურულ ზომებს განეკუთვნება: სამშენებლო კოდექსები, მიწათსარგებლობის დაგეგმვის შესახებ კანონები და მათი შესრულების უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელი ღონისძიებები, კვლევები, ანალიზი და შეფასებები, საინფორმაციო რესურსები და საზოგადოების ინფორმირების გაზრდის პროგრამები. უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის სფეროში ტერმინი „სტრუქტურული“ უფრო შეზღუდული მნიშვნელობით გამოიყენება და მზიდ კონსტრუქციას (სტრუქტურას) აღნიშნავს, ხოლო დატვირთვის ზიდვის თვალსაზრისით მეორეხარისხოვანი ელემენტები ტიხოები, კედლის შემოსვა და ზღუდარები არასტრუქტურულ ელემენტებად იწოდებიან.

## ტექნოგენური საფრთხე

საფრთხე, რომელიც წარმოიქმნება ტექნოლოგიური და ინდუსტრიული პირობებიდან, მაგალითად, ავარიების, უბედური შემთხვევების, სახითათო საწარმოო პროცესების, ინტრასტრუქტურის მოშლის ან ადამიანის გარკვეული ქმედებების გამო, რასაც შეუძლია გამოიწვიოს სიკვდილი, სხეულის დაზიანება, დაავადება ან ჟანმრთელობის გაუარესება, ქონებრივი ზარალი, საარსებო წყაროს დაკარგვა და მომსახურების სფეროს მოშლა, სოციალურ-ეკონომიკური სისტემების რღვევა და გარემოს დაზიანება.

**კომენტარი:** ტექნოგენური საფრთხის მაგალითებია: სამრეწველო ნარჩენებით გარემოს დაბინძურება, რადიოაქტიური გამოსხივება, ტოქსიკური ნარჩენები, კაშხლების ნგრევა, სატრანსპორტო ავარიები, აფეთქებები სამრეწველო ობიექტებზე, ხანძრები და ქიმიურ ნივთიერებათა გაუონვა გარემოში. ტექნოგენური საფრთხეები ასევე შეიძლება წარმოიქმნას სახითათო ბუნებრივი შემთხვევების უშუალო ზემოქმედების შედეგად.



## ჰიდრომეტეოროლოგიური საფრთხე

ატმოსფერული, ჰიდროლოგიური ან ოკეანოგრაფიული ბუნების მქონე პროცესი ან მოვლენა, რასაც შეუძლია გამოიწვიოს სიკვდილი, სხეულის დაზიანება, დაავადება ან ჟანმრთელობის გაუარესება, ქონებრივი ზარალი, საარსებო წყაროს დაკარგვა და მომსახურების სფეროს მოშლა, სოციალურ-ეკონომიკური სისტემების რღვევა და გარემოს დაზიანება.

**კომენტარი:** ჰიდრომეტეოროლოგიურ საფრთხეებში შედის: ტროპიკული ციკლონები (როგორიცაა ტაიფუნი და ქარიშხალი), ჭექა-ქუხილი, სეტყვა, ტორნადო, ქარბუქი, ძლიერი თოვა, ზვავი, წამლევი ტალღა სანაპიროებზე, წყალდიდობა, წყალმოვარდნა, გვალვა, ხანგრძლივი ცხელი ან ცივი ამინდები. ჰიდრომეტეოროლოგიური პირობები ასევე შეიძლება წარმოადგენდნენ სხვა სახის საფრთხეების გამომწვევ კომპონენტებს, როგორიცაა, მაგალითად: მეწყერები, ხანძრები აუთვისებელ ტერიტორიებზე (უდაბურ ტყეში), კალიების შემოსევა, ეპიდემია და შეიძლება ხელს უწყობდნენ ტოქსიკური ნივთიერებებისა და ვულკანური ამოფრქვევის პროდუქტების გადატანასა და გავრცელებას.

\* ახლახან შემოსული ცნებები, რომლებიც ჟერ ფართოდ არ გამოიყენება, მაგრამ თანდათან იძენს პროფესიონალურ რელევანტურობას. ამგვარი ტერმინების განმარტებებთან დაკავშირებით დიდი მსჯელობა მიმდინარეობს და შეიძლება მომავალში შეიცვალოს კიდევ.

ადაპტაცია ■ ადრეული გაფრთხილების სისტემა ■ აღდგენა ბიოლოგიური საფრთხე ■ ბუნებრივი საფრთხე ■ გეოლოგიური გარემობები ბემოქმედების შეფასება ■ გეოლოგიური საფრთხე გარემოს დეგრადაცია ■ გამძლეობა/მდგრადობა ■ გამკლავების გეოლოგიური საფრთხე ■ დარჩენილი რისკი ■ დასაშვები რისკი El Niño – სამხრეთული რხევების ფენომენი ■ ექსტენსიური რისკი\* კატასტროფის პოტენციური რისკის მართვა\* ■ კატასტროფის რისკი ეკოსისტემის სარგებელი ■ ინტენსიური რისკი\* ■ კატასტროფა კატასროფის რისკის მაკონექტირებელი მართვა\* ■ კლიმატის ცვლილება ■ კატასტროფის რისკის მართვა ■ კატასტროფის რისკის შემცირების გეგმა\* ■ კატასტროფის რისკის შემცირება კატასტროფის რისკის შემცირების ეროვნული პლატფორმა მდგრადი განვითარება ■ მზადება ■ მიტიგაცია (შენბილება) მიწათსარგებლობის დაგეგმვა ■ მოწყვლადობა ■ პროგნოზი პოტენციალი ■ პოტენციალის განვითარება ■ პრევენცია რეაგირება ■ რისკის ტრანსფერი ■ რისკი ■ რეკონსტრუქცია რისკის მართვა ■ რისკის შეფასება ■ სათბურის აირები საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების დაგეგმვა ■ საფრთხე საგანგებო სიტუაციების მართვა ■ საგანგებო სიტუაციების სამსახურები საფრთხის წინაშე დგომა ■ საზოგადოების გათვითცნობიერება სამშენებლო კოდექსი (ნორმები და წესები) ■ სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტები ■ სტრუქტურული და არასტრუქტურული ზომები ■ სოციალურ-ბუნებრივი ხასიათის საფრთხე\* ტექნოგენური საფრთხე ■ ჰიდრომეტეოროლოგიური საფრთხე

UNISDR ჟენევა  
ტელ.: +41 22 917 8908/8907  
isdr@un.org  
www.unisdr.org

UNISDR აფრიკა, ნაირობი  
ნიუ-იორკი  
palm@un.org

UNISDR აფრიკა, ნაირობი  
isdr-africa@unep.org  
www.unisdr.org/africa

UNISDR აზია და წყნარი ოკეანეთი,  
ბანკოკი  
lsc-bkk@un.org  
www.unisdr.org/asiapacific

UNISDR ამერიკა, პანამა  
eird@eird.org  
www.eird.org  
UNISDR-20-2009- Geneva

UNISDR ამერიკა, პანამა  
eird@eird.org  
www.eird.org  
UNISDR-20-2009- Geneva

UNISDR ევროპა,  
ჟენევა  
albrito@un.org  
www.unisdr.org/europe

UNISDR დასავლეთ აზია და  
ჩრდილოეთ აზიაკა, კაირო  
info@unisdr-wana.org  
www.unisdr.org/wanae